შპს ცხუმ-ეგრისის 2024 წლის წლიური ანგარიში

2024 წელს კოლეჯის საქმიანობიდან გამოიყოფა რამდენიმე მიმართულება

1. კოლეჯის პროგრამები:

შპს ცხუმ-ეგრისის (შემდგომში კოლეჯი) 2024 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ კოლეჯმა მოიპოვა პროფესიული მომზადების პროგრამების ''ძიძა'' და ''ელექტრონული ბუღალტერია '' განხორციელების უფლება..

კოლეჯში მთელი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა შვიდი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა(საექთნო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო), აღმზრდელი; ელექტროობა, ინფორმაციის ტექნოლოგია. საფინანსო სერვისები და ბუღალტრული აღრიცხვა) და პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები, არსებული პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით დაიგეგმა და განხორცილდა სასწავლო პროცესი, ყველა გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებზე ხდებოდა სასწავლო გეგმის შესაბამისად სასწავლო განრიგის -ცხრილების შედგენა და მათი განთავსება საინფორმაციო დაფაზე,ასევე გავრცელება facebook - დახურულ ჯგუფებში. პროფესიულ სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისათვის გამოიყო შესაბამისი სივრცე..

წლის განმავლობაში ხდებოდა პროგრამებში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების და პრაქტიკის ინსტრუქტორების კონსულტირება, იგეგმებოდა და ხორციელდებოდა მოდულების განხორციელებისათვის საჭირო აქტივობები, დგებოდა კალენდარული გეგმები, ანალიზდებოდა საჭირო სასწავლო რესურსი, მიმდინარეობდა თეორიული და პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის შეძენა და განახლება.

კოლეჯის საექთნო საქმისა და ფარმაცია (სააფთიაქო) პროგრამებს დაემატა პრაქტიკის ობიექტები ,ხოლო პროგრამის- ინფორმაციის ტექნოლოგია გაფორმდა ახალი ურთიერთანამშრომლობის ხელშეკრულება.

განხორცილედა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია. ჩატარებული კვლევისაგან მიღებული შედეგების საფუძველზე დაიგეგმა ტრენინგი.

სასწავლო პროცესის სამსახური ახდენდა პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვას , პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასებების შესაბამისობის კონტროლს მოდულის შედეგების შესაბამისად, შეფასების უწყისების შედგენის პროცედურისა და განათლების მასწავლებლების საანგარიშო ფორმებისა და კალენდარული გეგმების კონტროლს, პროფესიული განათლების მასწავლებლების ინფორმირებას მოდულის დაწყება- დასრულების პერიოდების შესახებ.

პრაქტიკული კომპონენტის დაწყების წინ ხდებოდა პრაქტიკის ობიექტზე დასწრების ჟურნალის , პრაქტიკის დაწყებამდე ინსტრუქტორებთან შეხვედრა, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და შემდეგ უკვე პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკული ნაწილის განხორციელების მონიტორინგი და კონტროლი.

ხარისხის უზრუნველყოფა

კოლეჯის ხარისხის მენეჯერი პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის განხორციელების ხარისხზე და საგანმანათლებლო საქმიანობის მუდმივ დინამიურ განვითარებაზე. ზრუნავს კოლეჯის განვითარებაზე.

ხარისხის მენეჯერის ზედამხედველობით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

შიდა ხარისხის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება ხორციელდებოდა შიდა და გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზებით, 2024 წელს ხარისხის მენეჯერის მიერ შპს ცხუმ-ეგრისის 2024 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით გაიწერა (დირექტორის ბრძანება №01-01 /12/01/2024) სამი ძირითადი მიზანი: შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის მიერ თვითშეფასების წარდგენა ცენტრში (გარე შეფასება), ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით ძირითადი პროცესების მონიტორინგი (შიდა შეფასება) და ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით დამხმარე პროცესების მონიტორინგი (შიდა შეფასება).

ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები ითვალისწინებდა: გარე შეფასებას - რეავტორიზაციის თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას და წარდგენას ცენტრში; შპს ცხუმ-ეგრისის ავტორიზაციის ვადას წარმოადგენდა 2025 წლის ივნისი. ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით გაიწერა ავტორიზაციის პროცესისათვის გასატარებელი ღონისძიებები: პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეკრულებების გადახედვა/ მონიტორინგი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა , პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციების მონიტორინგი. კოლეჯმა მიიღო კერძო კოლეჯების ასოციაციის მომსახურება სიმულაციური ავტორიზაციის პროცესის გავლის მიზნით.

რაც შეეხება შიდა შეფასებას - განხორციელდა ორი მიმართულებით : ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით ძირითადი პროცესების მონიტორინგი და ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით დამხმარე პროცესების მონიტორინგი.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ფარგლებში განხორციელდა:

პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევა ივნისის თვეში, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვლევა მაისის თვეში, კვლევის შედეგების გაანალიზების შედეგად გაიცა რეკომენდაციები.

განხორციელდა შეფასების სისტემის ვერიფიკაცია 2024 წლის ხარისხის განვითარების გეგმის შესაბამისად.

ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა გახარჯული მასალა ნედლეულის მონიტორინგი შპს კოლეჯ ცხუმ-ეგრისში მასალა ნედლეულის შეძენა და გახარჯვა ხორციელდება მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის მონიტორინგი-- ხარისხის მენეჯერის მიერ დაიგეგმა ოქტომბრის თვეში.

ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით დაიგეგმა დამხმარე პროცესების მონიტორინგი:

რეესტრის წარმოება-- ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა რეესტრის წარმოების მონიტორინგი. განხორციელდა 2024 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

საბიბლიოთეკო სერვისები: საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგი და სრულყოფა-- კოლეჯი ცხუმ-ეგრისის საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგი განხორციელდა შპს ცხუმ-ეგრისის 2024 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

ფინანსური რესურსის მართვა: აგვისტოს თვეში განხორციელდა შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ანგარიშგების შეფასება და გაიწერა ციკლური ბიუჯეტი.

ადამიანური რესურსების მართვა: პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვების მონიტორინგი განხორციელდა ივნისსა და ივლისის თვეში შპს ცხუმ-ეგრისის 2024 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად , გადაიხედა პერსონალის სამუშაო აღწერილობები.

მატერიალური რესურსის მართვა: სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის მატერიალური რესურსის მონიტორინგი- განხორციელდა შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის 2024 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად .

უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა:

ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა კოლეჯის შენობის სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა და თანამშრომელთა უსაფრთხო სასწავლო გარემოს მონიტორინგი და ხელშეკრულების ფარგლებში პრაქტიკის ობიექტზე უსაფრთხო სასწავლო გარემოს არსებობის შექმნის მიზნით შეთანხმებათა მონიტორინგი.

შრომის უსაფრთხოების მიზნით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კოლეჯში რისკები ფასდება არაუგვიანეს 6 თვეში ერთხელ, 2024 წელს რისკები შეფასდა და გამოიკვეათა საფრთხეები, რომელიც შესასრულებლად დაევალა პასუხისმგებელ პირებს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ინსტრუქტაჟები ჩაუტარდა კოლეჯის მასწავლებლებს და ადმინისტრაციას, პროფესიულ სტუდენტებს.ინსტრუქტაჟები აღრიცხება შესაბამის ჟურნალებში.

საზოგადოებასთან ურთიერთობები: ხარისხის მენეჯერის მიერ განხორციელდა კოლეჯის ოფიციალური ვებგვერდისა და სოციალური გვერდის მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა 2024 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა):განხორციელდა ხარისხის მენეჯერის მიერ საქმისწარმოების წესის შესრულების მონიტორინგი განხორციელდა 2024 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

პროფორიენტაცია და კარიერული განვითარება:

ხარისხის მენეჯერის მიერ დაიგეგმა პროფესიული სტუდენტების დამსაქმებელთა შეხვედრებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მონიტორინგი, რომელიც განხორციელდა 2024 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში.

2. პერსონალი

საქართველო საქმისა, ელექტროობის და ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დარგობრივი ქსელის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს.

2024 წელს ცხუმ-ეგრისის შენობაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე :360 გრადუსიანი თვითშეფასების ელექტრონული სისტემის შემუშავებისა და მართვის საკითხები. ტრენერი:განათლების ექსპერტი-ქეთევან ჯანელიძე.

2024 წლის 4 ოქტომბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დიაგეგმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები, რომელშეი მინაწილეოიბა მიიღეს კოლეჯის პროფესიულმა მასწავლებლებმა.გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დიაგეგმა საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები, რომელშიც მინაწილეოიბა მიიღეს კოლეჯის ადმინისტრაციულმა პერსონალმა. გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები.

2024 წლის 19-20 ოქტომბერს, საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA -მ უმასპინძლა.საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს ,რომლის მიზანი იყო ასოციაციის წევრი კოლეჯების შესაძლებლობების გაძლიერება და მხადრაჭერა რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის (სიმულაციური საავტორიზაციო ვიზიტები და კოლეგიალური ვიზიტები). გაიცა სერტიფიკატები.

2024 წელს ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები პროფესიულ სტუდენტებთან:

პროფესიული, ტრანსფერული უნარ - ჩვევების და მოტივაციის ამაღლების მიზნით, ხდებოდა პროფესიული სტუდენტების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში. მსოფლიოში 5 მაისი აღინიშნება როგორც ხელის ჰიგიენის საერთაშორისო დღე, რასთან დაკავშირებით, მოდულის ინფექციის კონტროლის საფუძვლების ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება ხელის ჰიგიენის მნიშვნელობა და ხელის დაბანის 5 მომენტის გაცნობა პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული სტუდენტებმა წარმოადგინეს ნაზოკომური ინფექციების გავრცელების თავიდან აცილების წესები.

ექთნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კოლეჯში მოდულის კომუნიკაცია საექთნო საქმეში ჩატარდა ღონისძიება ''ექთნის როლი საექთნო საქმეში და კომუნიკაციის მნიშვნელობა პაციენტთან ურთიერთობისას''. ღონისძიებაში მონაწილეობდენენ საექთნო საქმის პროფესიული პროგრამის სტუდენტები,რომელთაც წარმოადგინეს პრეზენტაციები. კოლეჯი სტუმრად იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე, ზუგდიდი რეფერალურ ჰოსპიტალში, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა მიულოცეს პრაქტიკის ინსტრუქტორებს პროფესიული დღე და გადასცეს მადლობის სიგელები.

ფარმაციის პროგრამის სტუდენტებისათვის ჩატარდა ორი ტრენინგი : ფარმაცევტის როლი მომხამარებელთან ურთიერთობისას და გასაუბრების ხელოვნება . ტრენერი -პროგრამის ხელმძღვანელი- ნინო გადელია.

მაისის თვეში გაიმართა სტუდენტური კონფერენცია , სტუდენტებს გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები. მთელი წლის განმავლობაში იმართებოდა სხვადასხვა სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები პროფესიული სტუდენტების ჩართულობით.

2024 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა კორპორაცია „გეფას" წარმომადგენლების ონლაინშეხვედრა ფარმაციის პროგრამის პროფესიულ სტუდენტებთან.
შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის კომპანიის აქტივობების გაცნობა, შიდა ვაკანსიებისა და სტაჟირების პროგრამის შეთავაზება , კარიერული ზრდის შესაძლებლობის მიმოხილვა.
2024 წელს კოლეჯის შენობაში ჩატარდა ტრენინგი ადმინისტრაციისათვის: ელექტრონული საქმისწარმოების ტექნიკური საკითხები; ტრენერი თინა კაცია. გაიცა სახელობითი სერტიფიკატები
2024 წლის 2 ივნისს ცხუმ-ეგრისში პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა ტრენინგი სახანძრო უსაფრთხოების თემაზე. ტრენინგზე განხილული იყო სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები, ხანძრის პრევენცია, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, ევაკუაცია. ტრენინგს უძღვებოდა საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციის მიერ სერტიფიცირებული ტრენერი რიტა ჭითანავა.
2024 წლის 5 ივნისს ცხუმ-ეგრისში გაიმართა ონლაინ ტრენინგი თემაზე:
"პროფესიული საექთნო მიმართულების სტუდენტთა კლინიკური სწავლება სამედიცინო დაწესებულებებში".ტრენინგს უძღვებოდა განათლების ექსპერტი გიორგი ბერია.
შეხვედრა ჩატარდა "საექთნო საქმის" თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი საექთნო პერსონალის, პრაქტიკის ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციისათვის.
2024 წელს შპს-საქართველოს ბიზნეს აკადემიამ (SBA), gანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით, უმასპინძლა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რიგით პირველ თანამშრომლობით ვიზიტს თემაზე „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ფუნქციონირება" , რომ ე ლშიც მონაწილეობა მიიღი კოლეჯის ხარისხის მართვისა და სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებმა. კოლეჯმა უმასპინძლა :

1.საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNA Georgia), USAID-ის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია" პროგრამის ფარგლებში(ჯანმრთელობის სერვისების და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ინფორმირებულობის კამპანიას ღონისძიებას პროფესიული სტუდენტებისათვის;

2. ინფორმაცია სოციალური მეწარმეობის, ინოვაციური ინკუბატორის შესახებ; შეხვედრა გამართა. ზუგდიდის ტექნოპარკის მენეჯერმა ანუკი ასათიანმა

3.CC ACADEMY - ინოვაციური ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმის შესახებ, რომლის მისიაა ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა . აკადემია სპეციალიზირებულია ისეთ მნიშვნელოვან სექტორებზე, როგორიცაა: ციფრული მარკეტინგი, პროგრამირება,კომპიუტერული სისტემები და სხვა.
4.2024 წლის 5 მარტს ცხუმ-ეგრისს ასოციაციის "საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი" წარმომადგენლები ეწვივნენ. კოლეჯის სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრის მიზანი იყო მათი დაინტერესება მიმდინარე პროექტით: „ოჯახებისა და ახალგაზრდების გაძლიერების გზით სოციალური და ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერა ზუგდიდის მუნუციპალიტეტში ''
5.2024 წლის 8 და 19 აპრილს კოლეჯი ცხუმ-ეგრისში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთათვის ღია კარის დღე გაიმართა!

6.2024 წლის 29 თებერვალს კოლეჯ ცხუმ-ეგრისის სტუდენტებს შეხვდნენ სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს კონსულტანტები .

7.2024 წელს ცხუმ-ეგრისსა და ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის ახალგაზრდობის, განათლებისა და კულტურის ცენტრსა და საგანმანათლებლო ცენტრს "მამული, ენა, სარწმუნოება"-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა!
მემორანდუმის მიზანია ახალგაზრდობის პიროვნული და პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი სასწავლო-საგანმანათლებლო პროექტებისა და ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება .
8. 2024 წლია .21 თებერვალს კოლეჯს სტუმრის სტატუსით ეწვია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის რეგიონული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი თამთა ალანია.
პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრა მიზანად ისახავდა მათი ინფორმირებულობის გაზრდას სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობისა და მანდატის შესახებ
9.2024 წელს კოლეჯის პროფესიულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული კალიგრაფიის კონკურსში, რომელიც განხორციელდა საგანმანათლებლო ცენტრის „მამული, ენა, სარწმუნოება'' პროექტის „ქართული კალიგრაფია - 2024 '' ფარგლებში.
10.2024 წელს კოლეჯს სტუმრის სტატუსით ეწვია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ნინო სიჭინავა.პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრის მიზანი იყო ინფორმაციის მიწოდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობისათვის მერიის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ,
11. პროფესიულ სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებამ აქტიური მონაწილეობა მიიღეს დასაქმების ფორუმში, რომელიც გაიმართა ზუგდიდში სსიპ-დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს ორგანიზაბით.

2024 წლის მიღების პროფესიული სტუდენტებისათვის შეიქმნა დომენური ელ. ფოსტები და მოხდა მათთვის გადაცემა.

2024 წლის ბოლოს ჩატარდა როგორც ადმინისტრაციული პერსონალის ასევე პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა ადმინისტრაციულ საკითხებში. ორივე შემთხვევაში კვლევის ანგარიშები ეცნობა კოლეჯის დირექტორს., წლის ბოლოს, დირექტორის მიერ შეფასდა კოლეჯის პერსონალი, პროგრამების ხელმძღვანელები და გამოეცხადათ მადლობა და ასევე გადაეცათ ფულადი ჯილდო .

3. სტუდენტური სერვისები და ინფრასტრუქტურა

კოლეჯში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სტუდენტულ სერვისებს. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა პროფესიული სტუდენტების საინიციატივო ჯგუფი.

წლის განმავლობაში ჩატარდა ჩატარდა არაერთი აქტივობა პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული სტუდენტები გაცნობით -საინფორმაციო შეხვედრებზე გაეცნენ სასწავლო პროცესისთვის სავალდებულო წესებს, უსაფრთხოების წესებს და საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. მყარდებოდა უწყვეტი კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტებთან მეილების, სოც. ქსელებისა და სატელეფონო კავშირის საშუალებით, კოლეჯის მიერ მხარდაჭერლი იყო სტუდენტების ყველა ინიციატივა.

პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა არაერთი ექსტრაკურიკულური აქტივობა, შემეცნებითი, კულტურული და სპორტული ღონისძიება: მათ შორის:

პირველ ივნისი- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე !

ექთნისა და ფარმაცევტის საერთაშორისო დღე!

ჩატარდა სპორტული შეჯიბრებები მინიფეხბურთსა და მკლავჭიდში.

4. დოკუმენტებზე მუშაობა

დოკუმენტბრუნვაზე სამუშაოები მიმართული იყო კოლეჯში შემოსული და კოლეჯიდან გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის, შემოსული დოკუმენტაციის დროული განხილვის, განაწილების, დოკუმენტების შესრულებაზე მიმდინარე პროცესის და დადგენილ ვადებში მათი გაფორმების მენეჯმენტის სრულყოფისაკენ,

შეიქმნა მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც დაევალა კოლეჯის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების გადახედვა /განახლება. განახლებული მარეგულირებელი დოკუმენტები განთავსებულია კოლეჯის ვებგვედზე.

გადაიხედა/განახლდა ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების შრომითი ხელშეკრულებები.

2024 წელს კოლეჯში ჩაირიცხა 88 პროფესიული სტუდენტი:

პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეუჩერდა 4 პროფესიულ სტუდენტს ;

სტუდენტის სტატუსი შეუწყდა პირადი განცხადების საფუძველზე 2 პროფესიულ სტუდენტს.

გაფორმდა ხელშეკრულებები პროფესიულ სტუდენტებთან და გატარდა რეგისტრაციაში.

წლის განმავლობაში მომზადდა და გაიცა პროფესიული სტუდენტების ცნობები.

წლის განმავლობაში აღირიცხა შემოსული და გასული კორესპოდენცია.

მოხდა წლიური ბრძანებების რეესტრის წარმოება.

ხდებოდა შემოსული და გასული კორესპონდენციის ადრესატისათვის გადაცემის და მათ შესარულებაზე კონტროლი.

2024 წელს მოხდა ელექტრონულ სისტემაზე- ე თანამშრომლის eflow_ზ დამატება. აღნიშნულის გამო მოხდა შესაბამისი სწავლების განხორციელება, პერსონალის გადამზადება საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში - eflow-ში.

სხვადასხვა აქტივობა

„საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცებაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 16 თებრვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების

შესაბამისად, საინვენტარიზაციო კომისიის მიერ სრულად მოხდა სასწავლო ოთახებში, კაბინეტებში, სათავსოებში, მატერიალური ფასეულობების აღწერა.

IT მენეჯერის მიერ შეფასდა კოლეჯის კომპიუტერული ბაზის, ტექნიკის, ქსელის და ტექნიკური საშუალებები, მიმდინარე საჭიროებები. კოლეჯში შეძენილ იქნა განვითარების გეგმის შესაბამისად კომპიუტერული ტექნიკა და ასევე მოეწყო ნასი (სერვერი). გამოვლინდა ინტერნეტის მიწოდების (ძირითადად არასაკაბელო) ხარვეზები და დაისახა თანმიმდევრული გეგმა ხარვეზების აღმოფხვრისთვის. მოხდა კომპიუტერული ლაბორატორიის კომპიუტერების ოპერაციული სისტემით უზრუნველყოფა. ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერებზე საკაბელო ინტერნეტის ქსელის გაუმართობის გასწორება. მოხდა ინტერნეტ ქსელის სრული მონიტორინგი, უკაბელო ინტერნეტის რამდენიმე ჰაბის გადანაცვლება.

ბიბლიოთეკაში ყველა ახალი წიგნი გატარებულია ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნში. საბიბლიოთეკო ფონდი სისტემურად ივსებოდა და ახლებოდა წლის განმავლობაში და დაინტერესებულ პირებს: სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს ეფექტურად ემსახურებოდა ბიბლიოთეკა. ყველა პროგრამის ელ. წიგნები მოდულების შესაბამისად ატვირთულია ვებგვერდზე. პროფესიულ სტუდენტები იცნობენ საბიბლოთეკო რესურსებსა და მათი სარგებლობის წესებს.

PR-ის მიმართულებით კოლეჯის შემდგომი PR კამპანიის წარმართვისთვის კოლეჯის შეცვლილი ლოგოს საფუძველზე შეიქმნა ახალი ბანერები და სტიკერები. კოლეჯის ტერიტორიაზე ძველი ლოგოთი არსებული ბანერები და სტიკერები ჩანაცვლდა ახლით.

დასაქმების კუთხით ხდება სხვადასხვა კომპანიებთან შეხვედრა, ასევე სისტემატიურად ხორციელდება ფეისბუქ ჯგუფებში დასაქმებასთან დაკავშირებით ინფორმაციის განთავსება, კერძოდ ,აქტიური ვაკანსიების გაზიარება პროფესიული პროგრამების მიხედვით.

კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ხდება არსებული პროფესიული პროგრამების პერიოდული რეკლამირება. მათ შორის ფასიანი რეკლამის გაშვება facebook გვერდზე.
რეგიონის მაშტაბით დამსაქმებლების მოძიება და შეხვედრის უზრუნველყოფის ფარგლებში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) ხელმძღვანელთან ერთად ორგანიზებით კოლეჯში ცხუმ-ეგრისის გაიმართა პროფესიული სტუდენტების შეხვედრა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან.

განხორციელდა ზუგდიდის მინუციპალიტეტის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების უფროსკლასელების გაცნობითი ხასიათის ვიზიტები კოლეჯში .
განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია სხვადასხვა არხების გამოყენებით. მათ შორის: გაიგზავნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ინფორმაცია ტექსტური შეტყობინების მეშვეობით (სმს) და მოვიცავით სრულად სამეგრელო -ზემო სვანეთის ტერიტორიაზე რეგისტრირებული აბონენტები. კოლეჯის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში ხდებოდა არსებული პროფესიული პროგრამების პერიოდული რეკლამირება. მათ შორის ფასიანი რეკლამის გაშვება facebook გვერდზე.

გაიმართა შპს კოლეჯი ცხუმ-ეგრისის პროფესიული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიება.

პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის წახალისების მიზნით მოეწყო შემეცნებითი ექსკურსია.

ბიუჯეტი

კოლეჯის წლიურ სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს კონკრეტული ამოცანის/პროექტის ბიუჯეტი. რის შესაბამისად იგეგმება დაწესებულების ბიუჯეტი. აღნიშნული ინდიკატორის მტკიცებულებაა, ასევე ის გარემოება, რომ სტრატეგიული გეგმის (2020-2027 წწ) სტრატეგიული ამოცანების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებულია, მაგ. საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების პროგრამების დამატება, პროფესიულის სტუდენტების კვოტის გაზრდა, ინფრასტრუქტურის განახლება. მუდმივად გამოიყოფა რესურსები პერსონალის განვითარებისთვის.

კოლეჯის ძირითადი შემოსავლების წყაროს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსება. დაწესებულებას სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი ამოცანაა შემოსავლებისა და დაფინასების წყაროების დივერსიფიცირება, რასაც მოიაზრებს სხვადასხვა ტიპის პროგრამების დამატებითა და განხორციელებით. ამ მიზნითა და ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით დაიმატა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები, შესაბამისად უზრუნველყო სახელმწიფო დაფინანსება აღნიშნულ პროგრამებზე. კოლეჯის ძირითადი შემოსავლების წყაროს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული დაფინანსება.

კოლეჯის ყოველწლიური ფინანსური ანგარიში, განთავსებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის გვერდზე https://www.saras.gov.ge/ka/Home/.